*დანართი №2*

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

***შპს "სქილვილის" "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"***
***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება***

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: სახელი, გვარი ბექარ კილასონია

**წევრი:**

სახელი, გვარი

**შალვა ზაზაძე**

**ალექსანდრე კეკენაძე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს სქილვილი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება.

საიდენტიფიკაციო კოდი: 406258730

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №189388 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 6 მარტს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს „სქილვილში“ მისამართზე ქ. თბილისში, ბოჭორმის ქ. №16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა"“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა დაწესებულების ადმინისტრაციასთან და განიხილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება, შრომის ბაზრის ანალიზი, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და პროგრამებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. ამასთანავე, შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განვითარების, პერიოდული განახლებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, ასევე სასწავლო პროცესის განხორციელების მიდგომები, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. ყურადღება გამახვილდა პერსონალის რაოდენობასა და სამუშაო დატვირთვაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის შესაბამის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, აგრეთვე პროგრამის ფინანსური მდგრადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გასაუბრება გაიმართა სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რომლის დროსაც განხილულ იქნა პროგრამების შინაარსობრივი, ორგანიზაციული და განხორციელების პრაქტიკული საკითხები. დამატებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათის საჭირო აუდიტორიები. ასევე შეისწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი და მატერიალური რესურსების ფლობის ან/და კანონიერ სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულ საკითხებზე გასაუბრება გაიმართა შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტს თან ახლდა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გამოჩენილი მაღალი დონის თანამშრომლობა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფთან, რამაც ხელი შეუწყო ვიზიტის ეფექტიანად განხორციელებას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სტანდარტის დარღვევის რაიმე ფაქტები არ გამოვლენილა.

## III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*არ დაფიქსირებულა*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შხეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*არ დაფიქსირებულა*

## III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების სრულყოფილად უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

## IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

*არ დაფიქსირებულა*

## V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ  წარდგენილი დასკვნის პროექტის განხილვის პროცესში, დაწესებულების მხრიდან დაფიქსირდა არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულებას კონსტრუქციული თანამშრომლობისა და წარმოდგენილი შენიშვნისთვის, რომელიც დაკავშირებული იყო ტექნიკური ხასიათის უზუსტობასთან.  შესაბამისად, აღნიშნული ტექნიკური უზუსტობა გათვალისწინებულ იქნა და დასკვნის საბოლოო ვერსიაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში/ Basic Vocational Qualification in Information Technology Support |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | შპს სქილვილის დირექტორის ბრძანება 03.02.2026 N1782 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქალაქი თბილისი, ბოჭორმას ქ. N 16 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 400 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 55 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |

**II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

*იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.*

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 400 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასაბუთება**

**ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (თბილისი, ბათუმი);
- „საწყობის ოპერირება“ (ბათუმი);
- „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ (თბილისი, ბათუმი);
- ამავე აქტით განსაზღვრულია პროგრამების ხელმძღვანელები და დადგენილია ბრძანების გაცნობის, ძალაში შესვლისა და გასაჩივრების პროცედურული წესები.

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების დანართებით დამტკიცებული „დანართი 31“ და „დანართი 35“. აღნიშნული ბრძანებით ასევე დამტკიცდა ახალი რედაქციით წარმოდგენილი დოკუმენტი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი. წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პროცესს, ასევე ადგენს შესაბამის პროცედურულ მექანიზმებსა და პასუხისმგებელ სუბიექტებს. წესში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სრული ციკლი, რომელიც მოიცავს პროგრამის ინიცირებას, სამუშაო ჯგუფის ფორმირებას, პროგრამის მიზანშეწონილობისა და რესურსების შეფასებას, პროგრამის შემუშავებას, ხარისხის მართვის გუნდის მიერ შესაბამისობის შეფასებას, პროგრამის დამტკიცებასა და განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის სისტემურობას და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობას. დოკუმენტში ასევე ირკვევა, რომ პროგრამის ინიცირება და მისი საჭიროების დასაბუთება დაკავშირებულია შრომის ბაზრის კვლევებთან, დამსაქმებელთა მოთხოვნებთან, კურსდამთავრებულთა კვლევებთან, სტუდენტთა ინტერესებთან და სხვა შესაბამის ფაქტორებთან. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის პროცესის მტკიცებულებაზე დაფუძნებულობას და ზრდის პროგრამის შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამასთან, წესში დეტალურად არის გაწერილი სამუშაო ჯგუფის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ასევე პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების როლი. პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ადამიანური, მატერიალური, საგანმანათლებლო და ფინანსური რესურსების შეფასება, რაც ხელს უწყობს პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფას და მისი განხორციელებისთვის საჭირო პირობების წინასწარ განსაზღვრას. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია პროგრამის ცვლილებისა და განვითარების პროცედურები. აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს როგორც კოლეჯის ინიციატივით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებულ ცვლილებებს, ისე პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილებით გამოწვეულ აუცილებელ კორექტირებებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში, კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №317 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან. სამუშაო ჯგუფმა შეაფასა პროგრამის მიზნები, მისი შინაარსი და მოსალოდნელი შედეგები კოლეჯის განვითარების მიმართულებებთან მიმართებით. შპს „სქილვილის“ მისიაა მრავალმხრივი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, რომელიც ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკის გამოყენებით უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სასწავლო გარემოს შექმნას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებას, სადაც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული მაღალკვალიფიციური კადრები ხელს უწყობენ ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასა და ეფექტიან გამოყენებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავება ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნების, ტექნოლოგიური სექტორის განვითარების ტენდენციებისა და დაწესებულების სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებას. დოკუმენტში წარმოდგენილია როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მონაცემები, დასაქმების პლატფორმების ანალიზი და ტექნოლოგიური სექტორის განვითარების ტენდენციები, რაც ადასტურებს შესაბამის კომპეტენციებზე მზარდ მოთხოვნას. შრომის ბაზრის მოთხოვნის დასაბუთების ნაწილში გამოყენებულია საქსტატის მონაცემები, მოყვანილია ხელფასების სტატისტიკა, აღწერილია ISCO კლასიფიკაცია დასახელებულია პრაქტიკული უნარები. ეროვნული შრომის ბაზრის კვლევის ნაწილში მოყვანილი სექტორის ზრდის მონაცემები, დასაქმების ზრდა, ხელფასების ზრდა. საერთაშორისო შრომის ბაზრის არგუმენტაცია გამოყენებულია Eurostat, Gartner, აღწერილია ICT სექტორის გლობალური ზრდა. შესაბამისად შპს „სქილვილის“ მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს ორიენტირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. პროგრამის სტრუქტურა და განხორციელების მიდგომები მიმართულია თანამედროვე ტექნოლოგიური გარემოს მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის ისეთი ცოდნისა და უნარების განვითარებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ორგანიზაციების ციფრული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელება შეიძლება შეფასდეს როგორც მიზანშეწონილი და შესაბამისი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც ქმნის საფუძველს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და მათი წარმატებული ინტეგრაციისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე.

**ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support“ (06.3.1). აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს პროგრამის შემუშავების საფუძველს და განსაზღვრავს პროგრამის სტრუქტურას, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებულია, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით). წესი მოიცავს ინფორმირების, რეგისტრაციის, შეფასების, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის განსაზღვრის, რეიტინგული შერჩევისა და სამართლებრივი ჩარიცხვის ეტაპებს. აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთი აპლიკანტების დაშვებას, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საგანმანათლებლო საფუძველი და პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მოტივაცია/მზაობა.

**ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია**

**3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2012-13 ბრძანებით, (ბოლო ცვლილება დირექტორის 2026 წლის 6 მარტის N00004500 ბრძანებით). აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებსა და პარამეტრებს, რომელთა საფუძველზეც დგინდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა და უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების შესაბამისობის შეფასებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალურ, ადამიანურ და ორგანიზაციულ რესურსებს, მათ შორის სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეებს, კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობასა და დატვირთვას, ადმინისტრაციულ და საინფორმაციო რესურსებს, ასევე პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნადობას. აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" შემუშავებულია შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დასაბუთებას. პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული სასწავლო გარემოსა და რესურსების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია, რომ პროგრამაზე მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 400 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება ხუთი სასწავლო აუდიტორია ) A /B სასწავლო გარემო, რომელთაგან თითოეული გათვლილია 40 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნული გარემოება უზრუნველყოფს ერთ ცვლაში პარალელურად ხუთი ჯგუფის სწავლების ორგანიზებას, რაც ერთდროულად 200 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას ქმნის. სასწავლო პროცესის ორგანიზება დაგეგმილია ორ ცვლაში, დილისა და საღამოს ჯგუფების ფორმატით, რაც საშუალებას იძლევა კვირის განმავლობაში სწავლება ჩაუტარდეს 10 ჯგუფს. პროგრამის განხორციელების პირობებში ერთ მიღებაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 400 სტუდენტით, თუმცა ერთდროულად სასწავლო პროცესში ჩართული სტუდენტების რაოდენობა არ აღემატება 200-ს. შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული ზღვრული ოდენობა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ მეთოდოლოგიურ მიდგომას და დაწესებულების რესურსების რეალურ შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხიან განხორციელებას და სასწავლო პროცესში სტუდენტთა ეფექტიან ჩართულობას.

**ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია**

**4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების შესაბამისობას საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტთან. დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და სასწავლო რესურსებით, რაც ქმნის სათანადო საგანმანათლებლო გარემოს და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან განხორციელებასა და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინტერაქციული დაფები, რომლებიც ხელს უწყობს ვიზუალური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით მხარდაჭერას. ასევე ხელმისაწვდომია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო მასალები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან და პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ამასთანავე, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის საჭირო საგანმანათლებლო მასალებზე სისტემურ და შეუფერხებელ წვდომას. აღნიშნული გარემოება ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას და პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია**

**5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების პროცედურა დაწესებულებაში რეგულირდება შპს „სქილვილის“ შიდა სამართლებრივი აქტებით და ხორციელდება დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ოფიციალურ სამართლებრივ ძალას და მის ინსტიტუციურ ლეგიტიმაციას. შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებულია რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის №1-ის შესაბამისად „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ (თბილისი, ბათუმი). დოკუმენტში ასევე განსაზღვრულია ბრძანების ადმინისტრაციული შესრულების პროცედურები, მათ შორის პასუხისმგებელი პირებისთვის ბრძანების გაცნობა და მისი ძალაში შესვლის პირობები. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და წარმოადგენს პროგრამის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს.

**ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია**

**7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support“ (სარეგისტრაციო ნომერი 06.3.1) საფუძველზე და მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში საჭირო საბაზისო ტექნიკურ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი პროფესიული მოდულები (აპარატურული უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, ქსელური სისტემები, ოპერაციული სისტემები, უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა, პრაქტიკული პროექტი და სხვ.) ლოგიკურად და შინაარსობრივად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებას და ასახავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სფეროს ძირითად კომპეტენციებს. ამასთან, პროგრამა ასევე მოიცავს ზოგად მოდულებს, რომლებიც ხელს უწყობს საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის ციფრულ, კომუნიკაციურ და ანალიტიკურ უნარებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი და სწორად იდენტიფიცირებს იმ პროფესიულ კომპეტენციებსა და საქმიანობის სფეროს, რომლისთვისაც პროგრამა ამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს.

**ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია**

**8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;**

საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობითა და პროფესიული განათლების სფეროში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support“ (სარეგისტრაციო ნომერი: 06.3.1) და მისი შემუშავება განხორციელებულია შპს „სქილვილის“ მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ საფუძველზე. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ნორმატიულ მოთხოვნებს და მოიცავს პროგრამის ყველა აუცილებელ კომპონენტს, მათ შორის პროგრამის ძირითად დოკუმენტს, შესაბამის მოდულებს, სასწავლო გეგმას და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს. ამასთან, პროგრამის შემუშავების პროცესში განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსი, პროგრამის ბიუჯეტი და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მექანიზმები (არსებობის შემთხვევაში), რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან და მდგრად განხორციელებას. პროგრამის ძირითადი დოკუმენტი შეიცავს ყველა იმ აუცილებელ კომპონენტს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების სტანდარტებითა და შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით, მათ შორის პროგრამის სახელწოდებას, მიზნებს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, დაშვების წინაპირობებს, მისაღწევ სწავლის შედეგებს, დასაქმების შესაძლებლობებს, პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობას, სწავლებისა და შეფასების მიდგომებს, კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომებს და ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესახებ.

**ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- **კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული მისია და სტრატეგიული გეგმა https://college.skillwill.edu.ge/;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი - განაცხადის დანართი N4;**
- **საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა, პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებული №1-ის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 13 იანვრის №317 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებული, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით);**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანების დანართებით დამტკიცებული „დანართი 31“ და „დანართი 35“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა ახალი რედაქციით წარმოდგენილი დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესის ორგანიზების პრინციპებს, შესაბამის პროცედურებსა და განხორციელების მექანიზმებს;**
- **ინტერვიუს შედეგები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის N2012-13 ბრძანებით, დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (ბოლო ცვლილება დირექტორის 2026 წლის 6 მარტის N00004500 ბრძანებით);**

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**2.2.1.1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, შესაბამისად დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია კომპონენტთან 2.2 დაკავშირებული საკითხები, რომელიც ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის სრულყოფილ უზრუნველყოფას. აღნიშნული საკითხი შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა, რაც მიუთითებს, რომ პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები უკვე არსებობს, თუმცა გარკვეული მიმართულებით საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას. შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 2 მარტის №4134 ბრძანებით, დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ცვლილება ( ბოლო ცვლილება 2026 წლის 5 მარტის №00004352 ბრძანებით). წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს დეტალურად გაწერილ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია იდენტიფიცირებული საკითხების ეტაპობრივად აღმოფხვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების სრულყოფილად უზრუნველყოფისაკენ. გეგმაში განსაზღვრულია თითოეული აქტივობის განხორციელების სავარაუდო დაწყებისა და დასრულების თარიღები, რაც უზრუნველყოფს პროცესის დროში დაგეგმილ და ეტაპობრივ განხორციელებას. გეგმაში ასევე მითითებულია აქტივობების შესრულების სავარაუდო ხანგრძლივობა შეფასების მომენტიდან, რაც შესაძლებელს ხდის პროგრესის მონიტორინგსა და განხორციელების ეტაპების კონტროლს. აღნიშნული დროითი ჩარჩო ხელს უწყობს დაგეგმილი ღონისძიებების სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას. დოკუმენტში განსაზღვრულია თითოეული აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებასა და პროცესის ეფექტიან მართვას. ამასთან, გეგმა ითვალისწინებს სხვა ჩართული მხარეების მონაწილეობასაც, საჭიროების შემთხვევაში, რაც მიუთითებს დაწესებულების თანამშრომლობით მიდგომაზე იდენტიფიცირებული საკითხების მოგვარების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განსაზღვრავს აქტივობების დაფინანსების წყაროსაც, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების ფინანსურ საფუძველს და ზრდის მათი პრაქტიკული განხორციელების რეალურ შესაძლებლობას. ამრიგად, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ხასიათდება დეტალური დაგეგმვით, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებით, დროში განსაზღვრული აქტივობებითა და ფინანსური უზრუნველყოფის განსაზღვრით, რაც ქმნის რეალურ წინაპირობას იდენტიფიცირებული საკითხების განსაზღვრულ ვადებში აღმოსაფხვრელად და პროგრამების განხორციელების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, 2026 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით უზრუნველყოს პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების სრულყოფილად უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. აღნიშნული სამართლებრივი აქტი ადასტურებს, რომ დაწესებულება ინსტიტუციურ დონეზე ახორციელებს შესაბამისი ცვლილებების ფორმალიზებას და უზრუნველყოფს დაგეგმილი ღონისძიებების სამართლებრივ რეგულირებას.

**ინდიკატორი 2.2.1.1. მეტწილად შეესაბამება**

**2.პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №00004507 ბრძანებით, დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისთვის ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, ბრძანებაზე თანდართული დანართების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროგრამებში ჩართული ადამიანური რესურსის ინსტიტუციურ და სამართლებრივ განსაზღვრას. აღნიშნული განაწილება განხორციელებულია პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვას და პროგრამის განხორციელების უწყვეტობას. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის ჰყავს განსაზღვრული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 36 მასწავლებელი, რომელთაგან 18 უზრუნველყოფს ზოგადი განათლების კომპონენტების სწავლებას, ხოლო 18 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების განხორციელების ფუნქციას. ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა განსაზღვრულია ისე, რომ არ აღემატებოდეს საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებით დადგენილ სამუშაო დროის ნორმებს. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მასწავლებელთა სამუშაო პროცესის რაციონალურ დაგეგმვას. ამასთან, მასწავლებელთა რაოდენობისა და მათი საათობრივი დატვირთვის პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობა ქმნის წინაპირობას სასწავლო პროცესის სტაბილურად განხორციელებისთვის და ამცირებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს. შესაბამისად, შეიძლება შეფასდეს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ორგანიზაციულ ეფექტიანობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია**

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, აქვს დარგში მრავალწლიანი დარგში მიმდინარე გამოცდილება, იცნობენ მოდულის განხორციელების სპეციფიკის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებებს, ასევე გავლილი აქვთ სხვადასხვა ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენა და სხვა.

**ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია**

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის დანართი №1-ის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, რომლის განხორციელება განსაზღვრულია ქალაქ თბილისსა და ბათუმში. აღნიშნული ბრძანებით ასევე განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პროგრამის ხელმძღვანელი, მოქმედი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების, მათ შორის პრაქტიკული სწავლების, მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის შესწავლის დროს გამოიკვეთა, რომ მისი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს გამოვლინდა პროგრამის მიზნების შესაბამისი საკმაოდ ღრმა ცოდნა. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, ჩერთოს ვალიდაციის პროცესებში, ასევე კოორდინაციას გაუწიოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლების/განმახორციელებლების საქმიანობას, პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებულ ინფორმაცია მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

**ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია**

**5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სრულად ელექტრონული ფორმით. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის შესაბამის სასწავლო მასალებზე დროულ და ეფექტიან წვდომას. საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების წესები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით „ელექტრონული ბიბლიოთეკითა და რესურსცენტრით სარგებლობის წესი“, რომლის შესაბამისად განსაზღვრულია რესურსების გამოყენების, წვდომისა და მართვის პროცედურები.

**ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია**

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

სასწავლო პროცესის მართვის წესით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და სასწავლო პროცესის ადაპტირების მექანიზმები. დოკუმენტში ცალკე არის გაწერილი როგორც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა, რაც მიუთითებს, რომ კოლეჯი სსსმ სტუდენტის მხარდაჭერას სისტემურად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურებით არეგულირებს. ამავე წესიდან იკვეთება, რომ სსსმ პირებისთვის სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომას. კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმის არსებობა ნიშნავს, რომ სტუდენტისთვის შესაძლებელია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების, სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმისა და საჭირო რესურსების ისეთი ადაპტირება, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე წვდომას მისი შესაძლებლობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ეს, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს იმის დასასაბუთებლად, რომ სსსმ პირებს წვდომა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვთ როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ისე საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან.

**ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია**

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების ნაწილს და განსაზღვრავს პროგრამის ფინანსური განხორციელების ძირითად პარამეტრებს. დოკუმენტში განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (30 პროფესიული სტუდენტი) და წარმოდგენილია პროგრამის განხორციელებისას მოსალოდნელი ფინანსური მაჩვენებლები. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში პროგრამის ძირითადი ფინანსური წყაროდ განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც გათვლილია 400 პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით, თითო სტუდენტზე განსაზღვრული 5 197 ლარის საფასურის საფუძველზე. აღნიშნული გათვლით პროგრამის საერთო საპროგნოზო შემოსავალი შეადგენს 2 078 800 ლარს.ხარჯების სტრუქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის ბიუჯეტი განაწილებულია რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე, რაც მიუთითებს ფინანსური რესურსების სტრუქტურირებულ და მიზნობრივ გამოყენებაზე. ყველაზე დიდი წილი მოდის შრომის ანაზღაურებაზე (საათობრივად მოწვეული პერსონალი) - 775 601 ლარი (37.30%), ასევე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს იჯარის ხარჯი - 767 285 ლარი (36.91%). გარდა ამისა, ბიუჯეტი მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებას (190 210 ლარი - 9.15%), პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯებს (3.21%), სასწავლო რესურსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას (4.05%), სტუდენტურ აქტივობებს (0.99%), პროგრამის ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს (2.28%) და სხვა საოპერაციო ხარჯებს (6.10%). აღნიშნული ხარჯები ჯამურად შეადგენს 2 078 800 ლარს, რაც სრულად შეესაბამება პროგრამის საპროგნოზო შემოსავლებს. ბიუჯეტის სტრუქტურა მიუთითებს, რომ პროგრამის განხორციელებისთვის ფინანსური რესურსები განაწილებულია როგორც ადამიანური რესურსების უზრუნველყოფაზე, ისე სასწავლო გარემოს, სასწავლო რესურსებისა და პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ მიმართულებებზე. ეს გარემოება ქმნის ფინანსურ წინაპირობას პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისთვის.

**ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებული, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით);**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის დანართი №1-ის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 3 თებერვლის №00001782 ბრძანებით, დამტკიცებულია დანართი №1-ის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და პროგრამის ხელმძღვანელი;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №00004507 ბრძანებით, დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიული განათლების მასწავლებლების განსაზღვრის შესახებ;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2026 წლის 2 მარტის №4134 ბრძანებით, დამტკიცებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ბოლო ცვლილება 2026 წლის 5 მარტის №00004352 ბრძანებით);**
- **პროგრამის ბიუჯეტი დანართი №3-ის სახით და ასახავს პროგრამის განხორციელებისთვის დაგეგმილ ფინანსურ პარამეტრებს, მათ შორის პროგრამის განხორციელებიდან მოსალოდნელ შემოსავლებსა და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯებს;**
- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმე;**
- **პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;**
- **ელექტრონული ბიბლიოთეკა;**
- **დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

პროგრამების შეფასება კოლეჯში ინტეგრირებულია ხარისხის მართვის სისტემაში და განიხილება, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პროცესი. პროგრამების შეფასება მოიცავს როგორც პროცესის შესაბამისობის დადგენას მოქმედ მარეგულირებელ აქტებთან, ისე მისი ეფექტიანობის შეფასებას, ხოლო ამ მიზნით ხარისხის მართვის გუნდს შემუშავებული აქვს დაინტერესებული მხარეებისათვის სპეციალური კითხვარები, რომელთა შედეგების ანალიზის საფუძველზეც იგეგმება და ხორციელდება გაუმჯობესების ღონისძიებები. შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით, დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“. წესში პირდაპირაა განსაზღვრული, რომ პროგრამის დაგეგმვისა და ინიცირების დასაბუთება შეიძლება ეყრდნობოდეს როგორც რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, ისე დამსაქმებლებისა და პოტენციური დამსაქმებლების უკუკავშირს, კურსდამთავრებულთა კვლევებს, სტუდენტთა ინტერესების კვლევის მონაცემებს და სხვა არსებით გარემოებებს. ეს ნიშნავს, რომ პროგრამის დაგეგმვის საწყისივე ეტაპზე დაწესებულება პროგრამის რელევანტურობას აფუძნებს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია**

**2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით, დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“. პროგრამაში ცვლილებები და მისი განვითარება კოლეჯის ინიციატივით შეიძლება დაეფუძნოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შედეგებს, გარე შეფასებების/ექსპერტების დასკვნებსა და რეკომენდაციებს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს, დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებს, ასევე პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს. გარდა ამისა, ცვლილებების საფუძვლად წესში დასახელებულია სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ცვლილება და ახალი ტექნოლოგიების/მიდგომების დანერგვა, რაც მიუთითებს, რომ პროგრამის შეფასება და შემდგომი განვითარება მიმართულია არა მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის ფიქსაციისკენ, არამედ დარგობრივი სიახლეებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით განახლებისკენ. შესაბამისად დაწესებულებაში პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, გარე შეფასებებს, ტექნოლოგიურ და დარგობრივ სიახლეებს და, ფართო გაგებით, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების შესაძლებლობას.

**ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 31 ოქტომბრის №00020870 ბრძანებით, დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით, დამტკიცებული „ხარისხის მართვის პოლიტიკა“;**
- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 9 სექტემბრის №17631 ბრძანებით, დამტკიცებუკლი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“; (ბოლო ცვლილება 2026 წლის 15 იანვრის №516 ბრძანებით),**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ინტერვიუს შედეგები.**

სისტემის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტებს.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა ეფუძნება ლოგიკურად აგებულ მოდულურ სტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს თემატურ თანმიმდევრობასა და შინაარსობრივ კავშირს პროგრამის სხვადასხვა კომპონენტებს შორის. დაწესებულება წარმოდგენილი აქვს სასწავლო გეგმა, როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 55 კრედიტი, 10 სასწავლო თვე;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 70 კრედიტი, 13 სასწავლო თვე
- მათ შორის 15 კრედიტი განსაზღვრულია „ქართული ენა A2“ მოდულისთვის.

პროფესიული სტუდენტის ყოველკვირეული აკადემიური დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს.

**ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია**

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებულია, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით). დოკუმენტში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას, მათ შორის სტუდენტთა ინფორმირებას პროგრამის შინაარსის, სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემისა და პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ. ამასთან, წესში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ორგანიზების სხვადასხვა პროცედურა, რომელიც სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების შესაძლებლობას ქმნის. კერძოდ, დოკუმენტი ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას, სასწავლო პროცესის ადაპტირებას განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, ასევე სტუდენტთა უფლებას მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესში. აღნიშნული მექანიზმები ქმნის წინაპირობას, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზდეს მოქნილად და საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდეს სტუდენტთა საგანმანათლებლო მოთხოვნებისა და ინდივიდუალური გარემოებების შესაბამისად. წესში ასევე განსაზღვრულია სტუდენტთა უკუკავშირის მიღებისა და გათვალისწინების შესაძლებლობა, რაც დამატებით ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას და პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებულ მიდგომას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია**

**3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

სასწავლო პროცესის ორგანიზება კოლეჯში ეფუძნება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებსა და სწავლების ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც მორგებულია შესაბამისი დარგის სპეციფიკასა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. სწავლების პროცესში გამოიყენება პრაქტიკაზე ორიენტირებული მეთოდები და აქტივობები, რაც ხელს უწყობს პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას და უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალურ სამუშაო გარემოში საქმიანობისთვის. ამასთან, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას და ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას და ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას თანამედროვე ტექნოლოგიურ და პროფესიულ განვითარებასთან. ამასთანავე, სასწავლო მასალები, დავალებები და სხვა საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია Learning Management System (LMS) პლატფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტებსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, სასწავლო პროცესის მართვასა და სწავლების უწყვეტობას. ასევე ამ პლატფორმაზე შესაძლებელია ინდივიდუალური კონსულტაციების მიღება. შესაბამისად, აღნიშნული ციფრული გარემო უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილ ორგანიზებას და სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

**ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია**

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებულია, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით). წესის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზება ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. დოკუმენტში განსაზღვრულია ისეთი პროცედურები, რომლებიც ქმნის საფუძველს სასწავლო პროცესის ადაპტირებისთვის, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობა, სასწავლო პროცესის ორგანიზების მოქნილი მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება. სასწავლო პროცესის მართვის წესის მიხედვით, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინება შესაძლებელია როგორც სწავლების პროცესის ორგანიზებისას, ასევე შეფასების ეტაპზე, რაც ხელს უწყობს თითოეული სტუდენტის შესაძლებლობებისა და საგანმანათლებლო მოთხოვნილებების გათვალისწინებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ წესში გათვალისწინებულია სსსმ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სასწავლო პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა და სასწავლო პროცესის შესაბამისი ადაპტაცია, რაც მიუთითებს სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის არსებობაზე. აღნიშნული მექანიზმები ქმნის წინაპირობას, რომ პროგრამის განხორციელებისას სასწავლო პროცესი ორგანიზდეს სტუდენტთა განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი ინდივიდუალური მხარდაჭერა, რაც ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია**

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელდება შპს „სქილვილის“ კოლეჯის საგანმანათლებლო სივრცეში, დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას.

**ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია**

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ თავისი შინაარსისა და განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე არ ითვალისწინებს განსაკუთრებული სპეციფიკური უსაფრთხოების წესების დაცვას. ამასთან, პროფესიული განათლების მიღების პროცესში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მუდმივ მხარდაჭერას, ხარისხიანი განათლების მიწოდებას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან და სტაბილურ განხორციელებას.

**ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- **შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის N17632 ბრძანებით დამტკიცებულია, სასწავლო პროცესის მართვის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანებით).**
- **Learning Management System (LMS) სისტემა;**
- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ სასწავლო გეგმა;**
- **დანართი 2. ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;**
- **ინტერვიუს შედეგები.**

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებაში შეფასების სისტემა ჩამოყალიბებულია წინასწარ განსაზღვრული პროცედურებისა და შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურ და სტრუქტურირებულ განხორციელებას. დოკუმენტში განსაზღვრულია შეფასების ფორმები, შეფასების პროცესში ჩართული მხარეების პასუხისმგებლობები, ასევე შეფასების შედეგების დაფიქსირებისა და გასაჩივრების მექანიზმები, რაც ქმნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საფუძველს. წესში ასახულია შეფასების ისეთი მიდგომები, რომლებიც ორიენტირებულია პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. შეფასების პროცესის ორგანიზება ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას და ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილებების რისკს. ამასთან, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია შეფასების სისტემის, შეფასების ფორმებისა და შეფასების შედეგების შესახებ, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. გარდა ამისა, წესით გათვალისწინებულია შეფასების შედეგების გადახედვისა და გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს დამატებით მექანიზმს შეფასების პროცესის სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიდგომა ქმნის პირობებს, რომ შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული სტანდარტებისა და ერთიანი კრიტერიუმების საფუძველზე. შესაბამისად როგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, რადგან იგი ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს, შეფასების კრიტერიუმებსა და შესაბამის ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგების სამართლიან და თანმიმდევრულ შეფასებას.

**ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია**

**2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების შედეგების ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც რეგულირდება დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით - „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია შპს „სქილვილის“ დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანების საფუძველზე, (ბოლო ცვლილება განხორციელდა 2026 წლის 15 იანვრის №00000516 ბრძანებით). დოკუმენტი წარმოადგენს დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მარეგულირებელ აქტს და განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომლის მიზანია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობის დადგენა დაწესებულებაში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებთან. წესის მიხედვით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის მექანიზმი მიმართულია იმის უზრუნველყოფისკენ, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ვერიფიკაციის პროცესი დოკუმენტში აღწერილია როგორც სისტემური და ეტაპობრივი პროცედურა, რომელიც მოიცავს შეფასების პროცესის სხვადასხვა კომპონენტის შემოწმებას. კერძოდ, ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია;
- შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
- შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციის ფარგლებში მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან, შეფასების კრიტერიუმებთან და პროფესიულ სტანდარტებთან. შეფასების პროცესის ვერიფიკაცია გულისხმობს შეფასების პროცესზე დაკვირვებას, რომლის დროსაც ხდება შეფასების პროცედურის სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის შეფასება. მტკიცებულებების ვერიფიკაციის ეტაპზე კი ხდება შეფასების შედეგად შექმნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ანალიზი. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელიც იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ჯგუფის დაკომპლექტება ხდება ინტერესთა კონფლიქტის პრინციპის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. ვერიფიკაციის ჯგუფში, როგორც წესი, მონაწილეობენ:

- ხარისხის მართვის გუნდის წარმომადგენელი (ვერიფიკაციის პროცესის კოორდინატორი);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- საჭიროების შემთხვევაში მოწვეული დარგის სპეციალისტი.

ვერიფიკაციის პროცესი დაგეგმილია სასწავლო წლის დასაწყისში, როდესაც ვერიფიკაციის ჯგუფი ამზადებს ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმას. გეგმის შემუშავება ეფუძნება რისკების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც პროგრამები ან შეფასების კომპონენტები კლასიფიცირდება დაბალი, საშუალო, მაღალი ან კრიტიკული რისკის კატეგორიებად. ვერიფიკაციის პროცესის მიმდინარეობა ფიქსირდება შესაბამის ფორმებში. შეფასების პროცესზე დაკვირვება ხორციელდება სპეციალური დაკვირვების ფორმის გამოყენებით, ხოლო ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება ვერიფიკაციის დასკვნის დოკუმენტში, სადაც ასახულია გამოვლენილი გარემოებები, რეკომენდაციები და საჭიროების შემთხვევაში სამოქმედო ნაბიჯები. შესაბამისად, დაწესებულებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა მოიცავს მკაფიოდ განსაზღვრულ და ინსტიტუციონალიზებულ ვერიფიკაციის მექანიზმს. აღნიშნული მექანიზმი რეგულირდება დირექტორის მიერ დამტკიცებული შიდა სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს ვერიფიკაციის მიზანს, პროცესს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ინსტრუმენტებს. ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის მუდმივ მონიტორინგს და ხელს უწყობს შეფასების პროცესის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფას, რაც სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

**ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია**

**3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

შპს „სქილვილის " დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით, დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", ( ბოლო ცვლილება 2026 წლის 15 იანვრის №00000516 ბრძანებით). შეფასების პროცესის ადმინისტრირების ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვასა და დაცვას. აღნიშნული მოიცავს: შეფასების უწყისებს, სტუდენტის მიერ შესრულებულ საგამოცდო/პრაქტიკულ ნამუშევრებს, შეფასების ინსტრუმენტებს, შეფასების პროცესის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებსა და მტკიცებულებებს. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული მასალები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და შემდგომი გადამოწმების შესაძლებლობას. მონაცემების შენახვის განსაზღვრული ვადა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით:

- **შეფასების პროცესის სანდოობის უზრუნველყოფა** - საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეფასების შედეგების გადამოწმება და მტკიცებულებების წარმოდგენა;
- **ვერიფიკაციისა და მონიტორინგის მხარდაჭერა** - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში შესაძლებელია შეფასების მასალების გამოყენება შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის;
- **სტუდენტის უფლებების დაცვა** - სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიმართოს დაწესებულებას შეფასების შედეგების გადახედვის მოთხოვნით და შესაბამისი მტკიცებულებები ხელმისაწვდომია განსაზღვრული ვადის განმავლობაში;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **გარე შეფასებისა და ავტორიზაციის პროცესების მხარდაჭერა** - დაწესებულება ინახავს შეფასების მტკიცებულებებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტებისთვის წარმოდგენას.

შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისტემურ ადმინისტრირებას, სათანადო აღრიცხვასა და უსაფრთხო შენახვას, რაც წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს.

**ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია**

**4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

შპს „სქილვილის " დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით, დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", (ცვლილებები განხორციელებულია 2026 წლის 15 იანვრის №00000516 ბრძანებით). დოკუმენტში აღწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი, რომლის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებების ანალიზს. აღნიშნული პროცესი, განსაკუთრებით „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია, გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობის შემოწმებას პროგრამის სწავლის შედეგებთან და შეფასების კრიტერიუმებთან. შეფასების ინსტრუმენტებისა და შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს:

- სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე;
- სტუდენტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი კომპეტენციები;
- სასწავლო პროცესში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელსა და პროგრამის ადმინისტრაციას შესაძლებლობა აქვთ დაგეგმონ შესაბამისი სასწავლო აქტივობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტის პროფესიული კომპეტენციების შემდგომ განვითარებას. ამასთან, შეფასების პროცესის ვერიფიკაცია და შეფასების მტკიცებულებების ანალიზი უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასების შედეგები იყოს სანდო და გამოყენებადი როგორც სწავლების პროცესის გაუმჯობესებისთვის, ასევე სტუდენტთა ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობისთვის.

**ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- შპს „სქილვილის " დირექტორის 2025 წლის 19 სექტემბრის №17631 ბრძანებით, დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", ( 2025 წლის 23 დეკემბრის №27803 ბრძანები).
- შპს „სქილვილის " დირექტორის 2024 წლის 20 დეკემბრის №2012-13 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი, ( ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2026 წლის 4 თებერვლის №1999 ბრძანებით).
- ინტერვიუირების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

.....

თარიღი

01.04.2026



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: